



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “ობანოვა საქართველოს წინააღმდეგ”

(საჩივარი № 25717/03)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2007 წლის 13 ნოემბერი

საკოლონო განცხადება: 02/06/2008

*წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ
გადასინჯვას*

საქმეში ოგანოვა საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (მეორე სექცია) შემდეგი შემდგენლობით:

ქალბატონი ფ. ტულკენსი, თავმჯდომარე,

ბატონი ა. ბ. ბაკა,

ბატონი ი. კაბრალ ბარეტო,

ბატონი მ. უგრესელიძე,

ბატონი ვ. ზავრებელსკი,

ქალბატონი ა. მულარონი,

ბატონი დ. პოპოვიჩი, მოსამართლეები,

და ქალბატონი ს. დოლე, სექციის განმწესრიგებელი

განიხილა რა საქმე დახურულ სხდომაზე 2007 წ. 16 ოქტომბერს, ამავე დღეს გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (№25717/03) საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც შეტანილ იქნა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში “კონვენცია”) 34-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის, ქალბატონ კარინა ოგანოვას მიერ, 2003 წ. 18 ივლისს.

2. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სახელმწიფოს წარმომადგენელი, ქალბატონი ი. ბართაია.

3. 2005 წ. 18 ნოემბერს სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობას ეცნობა იმ საჩივარის თაობაზე, რომელიც საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში ზეპირი მოსმენის არარსებობის საკითხს შეეხებოდა. კონვენციის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საჩივარის მისაღებობასთან ერთად, მისი არსებითად განხილვის თაობაზე.

4. მთავრობამ და მომჩივანმა წარმოადგინეს თავისი პოზიცია სარჩელის მისაღებობასა და არსებითი მხარის თაობაზე (სასამართლოს რეგლამენტის, მუხლი 54 ა).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი დაიბადა 1960 წელს და ცხოვრობს ქ. თბილისში.

6. 2002 წ. 8 მაისს განცხადებელმა წამოიწყო სამოქალაქო წარმოება, რომლითაც იგი ითხოვდა იმ თანხის უკან დაბრუნებას, რომელიც მან კერძო პირს ასესხა 1998 წ. 14 სექტემბერს, მისი ორ თვეში გასტუმრების პირობით.

7. 2002 წ. 22 მაისს მოპასუხე მხარე წერილობით პასუხში ამტკიცებდა რომ მან დროულად გადაიხადა აღნიშნული თანხა და ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლების შესაბამისად, მომჩივანს გაშვებული ჰქონდა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა.

8. 2002 წ. 14 ივნისს ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის სარჩელი დაუშვა საქმის ზეპირ მოსმენაზე. სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე მხარის მტკიცება ვალის გადახდასთან დაკავშირებით იყო დაუსაბუთებელი. სასამართლოს პასუხი არ გაუცია ხანდაზმულობასთან დაკავშირებით მოპასუხის პრეტენზიაზე.

9. 2002 წ. 5 აგვისტოს მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა გადაწყვეტილება, ისევე ამტკიცებდა რა, *inter alia*, რომ მოსარჩელის მიერ გაშვებულ იქნა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. პასუხად მომჩივანმა კი აღნიშნა, რომ მოპასუხის მიერ მიცემული განუწყვეტელი დაპირებები ვალის დაბრუნებასთან დაკავშირებით, არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო მისი უფლებების დარღვევად 1998-2001 წლებში.

10. 2002 წ. 18 სექტემბერს თბილისის საოლქო სასამართლომ გააუქმა 2002 წ. 14 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილება და გამოიტანა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც დაადასტურა განმცხადებლის მიერ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გაშვება. სააპელაციო სასამართლომ გამოარკვია, რომ სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყო 1998 წ. 14 ნოემბერიდან, ანუ 1998 წ. 14 სექტემბერს სესხის დაბრუნების თაობაზე მიცემული პირობის შეუსრულებლობიდან 2 თვის შემდეგ. სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალები არ ადასტურებს მოსარჩელის მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მოპასუხე მას განუწყვეტილვ პირდებოდა ვალის დაბრუნებას.

11. 2002 წ. 16 ოქტომბერს მომჩივანმა წარადგინა საკასაციო საჩივარი. სხვადასხვა გარემოებებზე მითითებით, იგი ამტკიცებდა, რომ მოპასუხე მხარის ზეპირმა დაპირებებმა მას ხელი შეუშალა სასამართლოში სარჩელის უფრო ადრე წარდგენაში. შესაბამისად ის ასაჩივრებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე მუხლები.

12. 2002 წ. 19 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად ცნო, თუმცა მიიღო გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის არსებითად განხილვის თაობაზე. 2002 წ. 22 ნოემბერს ორივე მხარე ინფორმირებული იყო აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე. იმავე დღეს საკასაციო საჩივარი გადაეგზავნა მოპასუხე მხარეს კომენტარისთვის, რაზეც პასუხი არ გამოგზავნილა.

13. 2003 წ. 6 თებერვალს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა განმცხადებლის საკასაციო საჩივარი. დაადასტურა რა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები, საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 129-ე და 130-ე სადავო მუხლები სწორად იყო განმარტებული და გამოყენებული სააპელაციო სასამართლოს მიერ მის 2002 წ. 18 სექტემბრის გადაწყვეტილებაში და შესაბამისად, არ არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლ და მე-2 ნაწილის შესაბამისად, მისი გაუქმების საფუძველი.

II. შესაბამისი ეროვნული სამართალი და პრაქტიკა

14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც იმ დროისათვის მოქმედებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი 129-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 130-ე მუხლის მიხედვით, სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა მოიცავდა სამი წელს და ვადის ათვლა იწყებოდა იმ მომენტიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის თაობაზე.

15. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, რომელიც იმ დროისათვის მოქმედებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 393-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო წესით შეიძლებოდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ კანონიერების გასაჩივრება. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უკანონოდ იქნებოდა ცნობილი მაშინ, თუ სასამართლო არასწორად გამოიყენებდა ან განმარტავდა კანონს. 396-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, მომჩივანმა საკასაციო სარჩელში უნდა მიუთითოს საპროცესო კანონმდებლობის შესაძლო დარღვევის ფაქტები იმ შემთხვევაში, თუ საკასაციო საჩივარი საპროცესო ნორმების გამოყენების დარღვევას შეეხება.

მუხლი 404§1

„საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396 მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა“.

მუხლი 407 § 1 და 2

“1. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნაგანმარტების მიმართ, რომელიც ასახულია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ან სხდომის ოქმში; მხედველობაში შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ 396 მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები.

2. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია.”

408-ე მუხლის მე-3 ნაწილი

“თუ საკასაციო სასამართლოს საქმის განხილვა არ მიაჩნია საჭიროდ, მას შეუძლია გადაწყვეტილება გამოიტანოს საქმის ზეპირი განხილვის გარეშე. მხარეებს უნდა ეცნობოთ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შესახებ.” 411-ე მუხლი “საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ საქმის გარემოებები სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის გარეშეა დადგენილი და საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.”

412-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილი

“1. თუ 411-ე მუხლის შესაბამისად საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, იგი აუქმებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და საქმეს სააპელაციო სასამართლოს უბრუნებს განმეორებით განსახილველად და გადასაწყვეტად.

2. თუ სასამართლომ თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო სამართლებრივი შეფასება, რის გამოც საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას, მაშინ ის თავის გადაწყვეტილებაში უთითებს, თუ რომელი ფაქტები საჭიროებს გამოკვლევას, რა მტკიცებულებებია შესაკრები და რა სხვა კონკრეტული საპროცესო მოქმედება უნდა შეასრულოს სააპელაციო სასამართლომ. საქმე ხელმეორედ განხილვისათვის შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა კოლეგიას.”

16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წ. 3 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე რიუამაძე და მუმლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ უარი საჩივარა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. განმცხადებლები ასაჩივრებდნენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის შესაძლებლობას. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებით, რომელიც ადგენს ფაქტებს, საკასაციო სასამართლოს შეუძლია მხოლოდ სამართლებრივი ნორმების გამოყენების სისწორის შემოწმება. თუმცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის პირველი პუნქტის “ვ” ქვეპუნქტისა და 407-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, მას შეუძლია შეისწავლოს ის ფაქტები, რომელიც განმცხადებლის მოთხოვით ადგენს საპროცესო კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევას. შესაბამისად, ვინაიდან განხილვა მეტწილად შემოიფარგლებოდა საპროცესო და მატერიალური სამართლებრივი ნორმების გამოყენების შეფასებით, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ზეპირი განხილვის ჩატარება საკასაციო სასამართლოს დონეზე არ იყო სავალდებულო.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა 2006 წ. 28 თებერვლის გადაწყვეტილებით საქმეზე „გოხი“ სს „თელასის“ წინააღმდეგ, უზენაესმა სასამართლომ „დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზიის“ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407 მუხლის მე-2 ნაწილი) ცნება განმარტა შემდეგნაირად: „[...] დამატებითი და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია ნიშნავს იმ პროცესუალურ დარღვევებს, რომლებიც დაშვებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც შედეგად ფაქტების მცდარი შეფასება, ან/და მათი არასწორი განმარტება და მატერიალური სამართლებრივი ნორმების არასწორი გამოყენება გამოიწვია“.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა

18. მომჩივანმა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად ასაჩივრებდა იმ საკითხს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უარი საჩივარა მისი სარჩელის ზეპირი მოსმენით განხილვაზე. ის სადავოს ხდის

წარმოების შედეგებს და აცხადებს, რომ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა უნდა გაეთვალისწინებინათ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მომჩივანმა მიუთითა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტზე, რომლის შესაბამის ნაწილში ნათქვამია შემდეგი:

„1. სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას..., ყველას აქვს სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება...“

ა. საჩივარის მისაღება

1. საჩივარი წარმოების შედეგთან დაკავშირებით

19. პროცესის შედეგების ეჭვქვეშ დაყენებით, მომჩივანი მიმართავს სასამართლოს თხოვნით, შეასრულოს „მეოთხე ინსტანციის“ სასამართლოს როლი. მიუხედავად ამისა, სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეროვნული სასამართლოები წარმოადგენს მტკიცებულების სათანადოობის შეფასებისა და მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი ნორმების განმარტებისა და გამოყენების საუკეთესო ადგილს (სხვა საქმეებს შორის იხილეთ, *Vidal v. Belguim*, 1992 წ. 22 აპრილის გადაწყვეტილება, სერია ა № 235-ბ, გვერდები 32-33, §32; *Gurepka v. Ukraine*, №61406/00, §45, 2005 წ. 6 სექტემბერი). ვინაიდან შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ შეიცავენ აშკარა თვითნებურ დასაბუთებას (*a contrario*, *Donadze v. Georgia*, 74644/01, §32, 2006 წ. 7 მარტი), სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის კონტექსტში განმცხადებლის სარჩელის ეს ნაწილი არის აშკარად დაუსაბუთებელი და კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, უარყოფილი უნდა იქნას.

2. საჩივარი საკასაციო ინსტანციაში საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვასთან დაკავშირებით

20. სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაეს სასამართლოში მიმდინარე საქმის განხილვა ხანდაზმულობის ვადის გამო, არ წარმოადგენს დავას განმცხადებლის „სამოქალაქო უფლებების“ თაობაზე. სასამართლო მიიჩნევს რომ აღნიშნულ შემთხვევაში კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენება შესაბამისია, რადგან საკასაციო პროცედურის შედეგი აშკარად გამომწვევტი იყო განცხადებლის სარჩელის არსებითად განხილვისას (სხვა საქმეებს შორის იხილეთ, *Zander v. Sweden*, 1993 წ. 25 ნოემბრის გადაწყვეტილება, სერია ა, № 279-ბ, გვერდი 38, §22; *Moreira de Azevedo v. Portugal*, 1990 წ. 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია ა, № 189, გვერდი 17, §66).

21. სასამართლო აღნიშნავს, რომ აღნიშნულ საჩივარი არ არის აშკარად დაუსაბუთებელი ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. ამასთან, არ არსებობს სხვა რაიმე საფუძველი საჩივარის დაუშვებლად გამოცხადებისათვის. ამდენად, აღნიშნული საჩივარი სასამართლოს მიერ დაშვებულად იქნა გამოცხადებული. ბ. საჩივარის არსებითი მხარე 1. მხარეთა არგუმენტები

22. მთავრობამ წარმოადგინა ინფორმაცია, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკასაციო წესით საქმის განხილვის დროს უზენაესი სასამართლოს ძირითად ფუნქციას, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმება წარმოადგენს. საკასაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, შეესწავლა საქმესთან დაკავშირებული ფაქტები, გარდა იმ ფაქტებისა, რომლებიც მითითებულია საკასაციო სარჩელში და აღწერს საპროცესო კანონის დარღვევებს. იმ შემთხვევაში, თუ უზენაესი სასამართლო მიიჩნევდა, რომ სააპელაციო სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებები საპროცესო კანონის დარღვევით დაადგინა, მაშინ აუცილებელი იქნებოდა მტკიცებულების დამატებითი შესწავლა, რაც საქმის ხელახალ განხილვას გამოიწვევდა.

23. მთავრობის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, აღნიშნული გამომდინარეობს საკასაციო პროცესის ბუნებიდან და მას საფუძვლად უდევს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის 3 პუნქტით დადგენილი მოთხოვნები. ამგვარად, ვინაიდან უზენაესი სასამართლო არ იყო უფლებამოსილი საქმის ფაქტობრივი გარემოებები სიღრმისეულად შეესწავლა და მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა უკვე დადგენილი ფაქტები, მხარეთა მონაწილეობა ზეპირ განხილვაში არ იყო საჭირო. მთავრობის აზრით, აღნიშნული მიდგომა გამართლებულია, ისეთი კანონიერი მოსაზრებებით, როგორცაა საქმის განხილვის უფლება გონივრულ ვადებში და ეკონომიურობის მოთხოვნები.

24. რაც შეეხება აღნიშნულ საქმეს, მთავრობის პოზიციის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლო უფლებამოსილია შეაფასოს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება. მას არ გააჩნია საქმის ფაქტობრივი გარემოებების გადამოწმების უფლება, ისე როგორც ამას მომჩივანი ითხოვდა მის საკასაციო სარჩელში და მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს არ შეეძლო პროცესუალურ დარღვევებთან დაკავშირებული ფაქტების შეფასებაც, ვინაიდან, მსგავსი საკასაციო პრეტენზია განმცხადებლის მიერ არ იყო წამოყენებული (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 პუნქტი, იხ. ზემოთ §15). მთავრობის აზრით, კანონიერების საკითხის შესწავლა შესაძლებელი იყო განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოსაზრებებისა და საქმის მასალების მიხედვით. უფრო მეტიც, მომჩივანი წინასწარ იყო ინფორმირებული ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვის თაობაზე.

25. ზემოხსენებულის საფუძველზე, მთავრობა აცხადებს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის ზეპირ განხილვაზე უარის თქმა არ წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევას.

26. განმცახადებელმა ძალაში დატოვა თავისი მოთხოვნა.

2. სასამართლოს შეფასება

27. სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო განხილვის უფლება, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით, გულისხმობს საქმის ზეპირი განხილვის უფლებას. მიუხედავად ამისა, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ზეპირი განხილვის ვალდებულება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. ამგვარად, ზეპირი განხილვის არარსებობა შესაძლოა, შეესაბამებოდეს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნას, როდესაც განსახილველი საკითხი არ იწვევს ეჭვს იმ ფაქტებთან ან კანონთან დაკავშირებით, რომელიც საქმეში წარმოდგენილი მასალებისა და მხარეთა წერილობითი დოკუმენტაციის საფუძველზე შეუძლებელია ადეკვატურად იქნეს გადაწყვეტილი. (იხ. *mutatis mutandis*, *Fredin v. Sweden*, (№2), 1994 წ. 23 თებერვალის გადაწყვეტილება, სერია ა, №283ა, გვერდები 10-11, §§ 21-22; *Fischer v. Austria*, 1995 წ. 26 აპრილის გადაწყვეტილება, სერია ა, №312, გვერდები 20-21, § 44).

28. აგრეთვე, სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველი და ერთადერთი ინსტანციის სასამართლოს განხილვის დროს ჩვეულებრივ არსებობს ზეპირი განხილვის უფლება (იხ. *Hakansson and Sturesson v. Sweden*, 1990 წ. 31 თებერვალის გადაწყვეტილება, სერია ა, №171-ა, გვერდი 20, §64). თუმცა, ზეპირი განხილვის არარსებობა მეორე და მესამე ინსტანციებში შეიძლება გამართლებულ იყოს საქმის განხილვასთან დაკავშირებული კონკრეტული თავისებურებებით, იმ შემთხვევაში, თუ საქმის ზეპირ განხილვას პირველი ინსტანციის სასამართლოში ჰქონდა ადგილი (მაგალითისთვის იხილეთ *Helmers v. Sweden*, 1991 წ. 29 ოქტომბრის გადაწყვეტილება, სერია ა, №212-ა, გვერდი 16, § 36).

29. რაც შეეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო ფუნქციას, სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი როლი მდგომარეობდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შეფასებაში. ეს გამომდინარეობს მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტებიდან, რომელსაც მომჩივანი არ შეედავა და რომელიც უზრუნველყოფილია ეროვნული კანონმდებლითა და პრაქტიკით, რაც გულისხმობს, რომ საკასაციო სასამართლო არ იყო ის კომპეტენტური ორგანო, რომელსაც შეეძლო ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა და შეეძლო მხოლოდ მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობით გათვალისწინებული დებულებების განმარტებისა და გამოყენების შეფასება. მიუხედავად ამისა, მომჩივანს ჰქონდა უფლება, გაესაჩივრებინა დადგენილი ფაქტები „დამატებითი და არგუმენტირებული საკასაციო პრეტენზიის აღძვრის საფუძველზე“, იმ მოთხოვნით, რომ ასეთი ფაქტები ქვემდგომი დონის ინსტანციების მიერ დადგენილია პროცესუალური ნორმების დარღვევით (იხ. ზემოთ §§ 15-17 და 24).

30. სასამართლო აღნიშნავს, რომ საკასაციო სარჩელში მომჩივანი ითხოვდა საქმის ფაქტობრივი გარემოებების გადახედვას. მიუხედავად ამისა, მან არ დააკონკრეტა სააპელაციო სასამართლოს მიერ მისი მდგომარეობის შეფასების პროცედურული ნაკლოვანებები (იხ. ზემოთ, §11). ასეთ ვითარებაში უზენაესმა სასამართლომ, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი კომპეტენცია,

შეისწავლოს ის საკითხი, თუ რამდენად დასაბუთებული იყო შეცდილებული გადაწყვეტილება, ან მოიპოვოს ახალი მტკიცებულება, კანონიერად საჩივარა უარი საქმის გარემოებების განხილვაზე და ნაცვლად ამისა დაადასტურა სააპელაციო სასამართლოს მიერ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სამართლებრივი დასაბუთებულობის გადამოწმებით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი პუნქტი) საკასაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის პირველი პუნქტის და 130-ე მუხლის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება ხანდაზმულობის ვადის მისაღებობისა და მისი დაანგარიშების ხერხის თაობაზე.

31. ვინაიდან, ხანდაზმულობის ვადის საკითხი უკვე იყო მსჯელობის საგანი ზეპირი განხილვის დროს სააპელაციო სასამართლოში, განმცხადებლის იმავე საკითხის ხელმეორედ განხილვაზე უარი შესაძლებელია, საკასაციო პროცესის ბუნებიდან გამომდინარე, უარყოფილ იყოს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი კანონიერი ინტერესების გამო (იხ. *Ekbatani v. Sweden* 1988 წ. 26 მაისის გადაწყვეტილება, სერია ა, №134, გვერდი 14, §31; ზემოხსენებული *Helmerts v. Sweden*, §36). ამ შემთხვევაში, სასამართლო იღებს მთავრობის მითითებას სათანადოობისა და ეკონომიურობის თაობაზე.

32. უფრო მეტიც, სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული სარჩელის გათვალისწინებით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მხარეთა მიერ უკვე წარდგენილი არგუმენტებისა და საქმის სხვა მასალების საფუძველზე, სრულად გააჩნდა შესაძლებლობა შეემოწმებინა ქვემდგომი ინსტანციების მიერ გამოყენებული სამართლის ნორმების განმარტების სისწორე. სამართლებრივი არგუმენტები, ისევე როგორც ტექნიკური ფაქტობრივი საკითხები, შესაძლებელია უფრო ეფექტიანად იქნას წარმოდგენილი წერილობითი ფორმით ვიდრე ზეპირად (იხ. *Pursiheimo v. Finland* (გადაწყვეტილება) №57795/00, 2003 წ. 25 ნოემბერი; *Döry v. Sweden* #28394/95, §37, 2002 წ. 12 ნოემბერი; *Sutter v. Switzerland*, 1984 წ. 22 თებერვლის გადაწყვეტილება, სერია ა, № 74, § 30; *Coorplan-Jenni GmbH and Hascic v. Austria*, №10523/02, § 63, 2006 წ. 27 ივლისი; *Salomonsson v. Sweden*, №38978/97, §39, 2002 წ. 12 ნოემბერი; *Göç v. Turkey [GC]*, #36590/97, §51, ECHR 2002-V).

33. უფრო მეტიც, სასამართლო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ არსებულ საქმეში ზეპირი განხილვის არარსებობა არ არღვევდა განმცხადებლის უფლებას შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებულ სასამართლო განხილვაზე, რაზეც განმცხადებელმა არ გააკეთა შეცდილება (cf., a contrario, *Larin and Larina v. Russia*, #74286/01, §§ 40, 50 in fine 53, 2007 წ. 7 ივნისი). სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხემ არ წარმოადგინა არანაირი პასუხი განმცხადებლის საკასაციო სარჩელზე (იხ. ზემოთ, §12). ამდენად, ამ უკანასკნელს, არ შეუძლია, საჩივაროს, რომ ზეპირი განხილვის არარსებობის გამო საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მას არ მიეცემოდა მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების გაცნობის საშუალება (იხ. a contrario, *Lobo Machado v. Portugal* 1996 წ. 26 თებერვლის გადაწყვეტილება, გადაწყვეტილებებისა და გადაწყვეტილებების ანგარიშები, 1996-I, §31; *Vermeulen v. Belgium*, 1996 წ. 20 თებერვლის გადაწყვეტილება, ანგარიშები 1996-I, §33; *Fretté v. France* #36515/97, §47, ECHR 2002-I).

34. და ბოლოს, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ მომჩივანს ეცნობა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ზეპირი განხილვის გადადების თაობაზე და მას გადაეცა სათანადო შეტყობინება საქმის განხილვის დაწყებამდე. (იხ. ზემოთ, §12).

35. საბოლოოდ, საქმეში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ზეპირი განხილვის სანაცვლოდ შემოთავაზებული წერილობითი პროცედურა არ იყო გამჭვირვალე ან შეიცავდა სხვა თვისებებს, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა მის სამართლიანობას (იხ. Rizhamadze v. Georgia, N2745/03, §§ 41-43, 2007 წ. 31 ივლისი).

36. ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ზეპირი განხილვის არარსებობა საკასაციო სასამართლოს დონეზე არ შეადგენს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას. ზემოხსენებულიდან გამომდინარე სასამართლო ერთხმად 1. აცხადებს საკასაციო სასამართლოში ზეპირი განხილვის არარსებობის შესახებ საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიას დასაშვებად, ხოლო დანარჩენ პრეტენზიებს – დაუშვებლად.

2. ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას. შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით ეცნობა 2007 წ. 13 ნოემბერს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

ს. დოღე
განმწესრიგებელი

ფ. ტულკენსი
თავმჯდომარე